დანართი №1

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების კოლეჯი „ქართლის“ პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამის „შედუღება" მონიტორინგის ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა;

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: მიმოზა ღოლიჯაშვილი

წევრები:

ირმა ღარიბაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **სსიპ კოლეჯი „ქართლი“;**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **საჯარო სამართლის იურიდიული პირი;**

საიდენტიფიკაციო კოდი: **243919033;**

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი ველი):

☐ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

■ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☐ **გეგმიური**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ არაგეგმიური

■ საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ვიზიტი.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 26 დეკემბრის №MES9250001847872 სხდომის ოქმისა და „სსიპ — კოლეჯ „ქართლის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „შედუღება“ მონიტორინგის შესახებ“ სსიპ — განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 19 მაისის №MES5260000591214 ბრძანების საფუძველზე, 2026 წლის 21 მაისს სსიპ კოლეჯ „ქართლში“ განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა მონიტორინგის ვიზიტი. აღნიშნული მონიტორინგი ჩაინიშნა საბჭოს მიერ ცენტრის წინაშე აღძრული შუამდგომლობის საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებდა კოლეჯის მე-2 სტანდარტში (2.2. კომპონენტში) „შედუღების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შემოწმებას, ადგილზე ვიზიტის ფორმით.

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 18 სექტემბრის N1176224 ბრძანების საფუძველზე 2025 წლის 15 – 17 ოქტომბერს განხორციელდა ავტორიზაციის ვიზიტი სსიპ კოლეჯ „ქართლში“, რომლის ფარგლებშიც გათვალისწინებულ იქნა ის გარემოება, რომ სსიპ პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ განახლდა პროფესიული სტანდარტი, რამაც წარმოშვა დამატებითი მატერიალური რესურსის შეძენის საჭიროება. აღნიშნულთან დაკავშირებით, დაწესებულებამ აიღო ვალდებულება, 2026 წლის 15 აპრილამდე უზრუნველყოს შესაბამისი აღჭურვილობის შესყიდვა.

მონიტორინგის დღის განრიგის შესაბამისად, განხორციელდა დაწესებულების წარმომადგენლებთან, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელსა და განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრება. ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა წარმოდგენილი დოკუმენტაცია, შეამოწმა პროგრამის მატერიალური და ადამიანური რესურსი, დაათვალიერა კოლეჯის ბიბლიოთეკა და გაესაუბრა ბიბლიოთეკარს. დაწესებულების წარმომადგენლის თანხლებით, ასევე, ვიზუალურად შემოწმდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და შეფასდა პერსონალის რაოდენობრივი მაჩვენებელი. ვიზიტის დასასრულს, ექსპერტთა ჯგუფმა შეაჯამა მუშაობის შედეგები და ძირითადი მიგნებების შესახებ ინფორმაცია ზეპირი ფორმით მიაწოდა ადმინისტრაციას.

აღსანიშნავია, რომ დაწესებულების ადმინისტრაციასთან გამართული ინტერვიუს შედეგად ცნობილი გახდა, რომ მიმდინარე პერიოდში კოლეჯს გამოცხადებული აქვს მსმენელთა მიღება „შედუღების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე. ამ დროისთვის რეგისტრირებული 16 აპლიკანტიდან 13-ს პირველ პრიორიტეტად არჩეული აქვს სსიპ კოლეჯი „ქართლი“; ამასთანავე, გასაუბრებისას დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ კოლეჯის გეოგრაფიული მდებარეობისა და რთულად მისადგომი ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით, სტუდენტთა შეუფერხებელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გადაადგილების მიზნით, მიმდინარეობს აქტიური მოლაპარაკებები ადგილობრივი თვითმმართველობის (ადმინისტრაციულ) ორგანოებთან. აღნიშნული თანამშრომლობა გულისხმობს სტუდენტური ტრანსპორტის ერთობლივი თანადაფინანსების პრინციპით უზრუნველყოფას.

წინა ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში (სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 18 სექტემბრის N1176224 ბრძანების საფუძველზე 2025 წლის 15 – 17 ოქტომბერს განხორციელებული ავტორიზაციის ვიზიტი სსიპ კოლეჯ „ქართლში“), მომზადებული დასკვნის თანახმად, დაწესებულების „შედუღების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან მიმართებაში შეფასდა როგორც **მეტწილ შესაბამისობაში,** რადგანაც 2.2 კომპონენტი შეფასდა **მეტწილად.** მონიტორინგის პროცესში შემოწმებული დოკუმენტაციისა და ადგილზე განხორციელებული დათვალიერების საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფმა პროგრამა 2.2 კომპონენტთან მიმართებით **„სრულ შესაბამისად“** შეაფასა, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს მთლიან სტანდარტთან პროგრამის **„შესაბამისობას“**.

III. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

ინფორმაცია ივსება მხოლოდ მიმდინარე პროგრამების მიხედვით მონიტორინგის დროს ან წარმოების მიზნებიდან გამომდინარე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა	აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეწყვეტილი პროფესიული სტუდენტების რაოდენობა
„შედუღება“	15	-	-	-

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, მოიყვანოთ საუკეთესო გამოცდილების მაგალითი(ებ)ი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

არ გამოვლენილა;

II. პროგრამების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
შედუღება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

ცხრილი ივსება ცალ-ცალკე თითოეული პროგრამისა და ასევე, პროგრამის განხორციელების ადგილის და ენის მიხედვით. (ინდივიდუალურ პროგრამებად განიხილება განხორციელების ადგილისა და სწავლების ენის მიხედვით განსხვავებული პროგრამები. მაქსიმუმ 15 პროგრამა)

პროგრამის სახელწოდება	შედუღება
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია შედუღებაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0715
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ხაშურის მუნიციპალიტეტი, დაბა სურამი, ახალი ბანას ქ. N15
პროგრამის სწავლების ფორმა (დუალური/კოოპერაციული/იმიტირებულ გარემოში)	იმიტირებულ გარემოში სამუშაო
დაწესებულების მიერ პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე)	15
აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში, სწავლების ფორმის შესაბამისად, მათ შორის ინტეგრირებულის არსებობის შემთხვევაში)	-
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	87
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	117

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. **პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;**

„პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის“ თანახმად, „შედუღების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას პროგრამის განხორციელების მიზნებისათვის გამოყოფილია შედუღების სახელოსნო. სახელოსნო აღჭურვილია შესაბამისი ავეჯით, დანადგარებით, ხელსაწყო-იარაღებით. საგანმანათლებლო დაწესებულების საკუთრებაშია „შედუღების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური და სასწავლო რესურსი სრულად.
დაწესებულებამ წარმოადგინა ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული, პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსის შეძენილი დაფინანსების თაობაზე გაფორმებული ხელშეკრულება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან. ასევე წარმოადგინა ხელშეკრულება სასაქონლო შესყიდვების შესახებ, სასაქონლო მოთხოვნები,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასაქონლო ზედნადებები და მიღება - ჩაბარების აქტები. დაწესებულებამ საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად შეიძინა შემდეგი დანადგარები და ინვენტარი:

- ✓ საშემდუღებლო აპარატი არგონში ალუმინის შედუღებისთვის (ცვლადი დენის);
- ✓ ულტრაბგერითი შედუღების აპარატი;
- ✓ პლასტმასის შედუღების აპარატი;
- ✓ პოლიეთილენის მილების (პირაპირა) შედუღების აპარატი;
- ✓ აირალური შედუღების მოწყობილობა, კუთხსახეხი;
- ✓ ვერტიკალური საბურღი ჩარხი;
- ✓ შედუღების ნახევრად ავტომატი ნახშირორჟანგში შედუღებისათვის კვების წყაროთი;
- ✓ ელექტრო ხერხი;
- ✓ ინდუსტრიული მულტიპროცესორული შედუღების ნაკრები (ნახშირორჟანგში და არგონში ნახევრად ავტომატური შედუღებისათვის;
- ✓ სხვადასხვა მასალის ცეცხლმაქრები;
- ✓ CO2 რედუქტორი;
- ✓ არგონის ბალონის რედუქტორი;
- ✓ მილის საჭრელი მაკრატელი;
- ✓ ელექტრო დამაგრძელებელი;
- ✓ სახანძრო საბანი და სხვა;

„შედუღების" ახალი პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა "შედუღება" (მე-4 დონე) უზრუნველყოფილია მატერიალური რესურსით სრულყოფილად, რაც ასევე დასტურდება ვიზუალური დათვალიერებით.
კოლეჯში პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილი კომპიუტერული კლას-კაბინეტი სტუდენტებისა და მასწავლებლისათვის აღჭურვილია კომპიუტერული ტექნიკით, საპრეზენტაციო საშუალებებით და ინტერნეტით.
კოლეჯის ბიბლიოთეკაში არსებული საგანმანათლებლო რესურსი, როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული სახით, ხელმისაწვდომია კოლეჯის სტუდენტებისათვის და უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. ყოველივეს ამის გათვალისწინებით, „შედუღების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა მაქსიმალური კვოტა განისაზღვრა 15 ადგილით. ვიზიტის ფარგლებში მატერიალური რესურსების შეფასებით დადგინდა, რომ დაწესებულების მფლობელობაში არსებული ინფრასტრუქტურა, აღჭურვილობა და სასწავლო გარემო სრულად შეესაბამება პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის სტანდარტებს და უზრუნველყოფს მოთხოვნილი რაოდენობის სტუდენტთა მიღების მზაობას.

2.2.1.1. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „შედუღება", განხორციელების მიზნით, კოლეჯს განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი მაღალი კვალიფიკაციის მქონე როგორც ზოგადი და ინტეგრირებული, ასევე პროფესიული მოდულის პროფესიული განათლების მასწავლებლები, რომელთა რაოდენობა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. სულ პროგრამას ახორციელებს 9 პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთაგან 4 პირი პროფესიული მოდულის განმახორციელებელია, ხოლო 5 მათგანი ზოგად მოდულს უძღვება. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა ისეა აგებული, რომ მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა იძლევა პროგრამის სრულფასოვნად განხორციელების შესაძლებლობას. პროფესიული პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, მათი დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს“ და არ აღემატება კვირაში 40 საათს. ვიზიტის მიმდინარეობისას ექსპერტები გაესაუბრნენ განმახორციელებელ პირებს. მონიტორინგის ვიზიტის დროს გადამოწმდა პერსონალთან გაფორმებულია წინარე ხელშეკრულებები.

2.2.1.2. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3.პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

ექსპერტთა ჯგუფის მიერ დეტალურად შემოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „შედუღება“ მასწავლებელთა პირადი საქმეები, მათ შორის, კვალიფიკაციის, პედაგოგიური პრაქტიკისა და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. შესწავლის შედეგად დადასტურდა, რომ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი ფლობს სტუდენტებისთვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასებისათვის საჭირო კომპეტენციას, ხოლო მათ უმრავლესობას აქვთ მასწავლებლად მუშაობის მრავალწლიანი პრაქტიკა; მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში ასევე შედგა გასაუბრება პროფესიული განათლების მასწავლებლებთან. ვინაიდან დაწესებულებაში სასწავლო პროცესი ამ ეტაპზე ჯერ არ დაწყებულა, უშუალო საგანმანათლებლო პრაქტიკის შეფასება ფიზიკურად შეუძლებელი იყო, თუმცა ინტერვიუების შედეგად მკაფიოდ გამოიკვეთა პერსონალის მაღალი პროფესიული მზაობა სასწავლო წლის დასაწყებად. კერძოდ, მასწავლებლები აქტიურად იყვნენ ჩართულები მოდულების ადაპტირებისა და წინასწარი მოსამზადებელი სამუშაოების პროცესში, ამასთანავე, გავლილი აქვთ შესაბამისი ტრენინგები, რაც სრულ გარანტიას ქმნის საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტების შესაბამისად დაწყების და შეუფერხებელი განხორციელებისათვის.

2.2.1.3. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

4.საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

დაწესებულების შიდა რეგულაციებით მკაფიოდ არის რეგლამენტირებული პროგრამის ხელმძღვანელის როლი, ძირითადი ფუნქციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „შედუღება“ ხელმძღვანელად იდენტიფიცირებულია შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე პირი, რომელიც ამავდროულად ჩართულია პროგრამის უშუალო განხორციელებაში. მისი პირადი საქმის დოკუმენტური შესწავლისა და გასაუბრების საფუძველზე დადასტურდა, რომ იგი წარმოადგენს სფეროს მოქმედ კვალიფიციურ სპეციალისტს. ამასთანავე, გამოიკვეთა მისი უშუალო მონაწილეობა აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, ფორმირებისა და შემუშავების პროცესში, რაც ხაზს უსვამს მის კომპეტენტურობასა და მზაობას პროგრამის ეფექტიანი მართვისთვის.

2.2.1.4. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5.საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

კოლეჯში საგანმანათლებლო პროგრამისთვის „შედუღება“ განსაზღვრული სასწავლო რესურსები ხელმისაწვდომია როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული სახით, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სტუდენტთა პროფესიულ განვითარებასა და სასწავლო პროცესის პროგრესს. დაწესებულების ბიბლიოთეკარი ეფექტურად ახორციელებს საგანმანათლებლო მასალების მიწოდებას, როგორც პროფესიული სტუდენტებისთვის, ისე პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისთვის. ბიბლიოთეკის არსებული ინფრასტრუქტურა აერთიანებს მოწყობილ სამკითხველო სივრცეს, ინტერნეტთან დაკავშირებულ კომპიუტერულ ტექნიკასა და პრინტერს, რაც სრულად უზრუნველყოფს მასალების ბეჭდვისა და სკანირების შესაძლებლობას. რესურსების რეალური ხელმისაწვდომობა დადასტურდა ბიბლიოთეკარსა და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ინტერვიუების საფუძველზე, რის შედეგადაც გამოიკვეთა დაწესებულების სრული მზაობა აღნიშნული პროგრამის განხორციელებისთვის. აღსანიშნავია, რომ სასწავლო მიზნებისთვის გამოყოფილია სათანადოდ აღჭურვილი ინდივიდუალური კაბინეტები, ხოლო ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი სტუდენტებს სრულყოფილ საგანმანათლებლო ბაზას სთავაზობს.

2.2.1.5. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

6.სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

კოლეჯს აქვს სრული ინსტიტუციური მზაობა, უზრუნველყოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) პირების ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული მომსახურება და საგანმანათლებლო რესურსების მაქსიმალური ხელმისაწვდომობა. დაწესებულების მარეგულირებელი დოკუმენტებით დეტალურად არის გაწერილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების პროცედურები, რაც აწესრიგებს სსსმ პროფესიული სტუდენტებისთვის დამატებითი მხარდაჭერის აღმოჩენის სამართლებრივ მექანიზმებს. აღნიშნული გეგმა წინასწარ ითვალისწინებს მოდულების მოდიფიკაციისა და აკომოდაციის ინსტრუმენტებს, რისი საშუალებითაც ზუსტდება თითოეული პირისთვის აუცილებელი სპეციფიკური საგანმანათლებლო სერვისები. შესაბამისი საჭიროების გამოკვეთისთანავე, არსებული სისტემა იძლევა იმის გარანტიას, რომ ოპერატიულად განხორციელდება საგანმანათლებლო რესურსების მიზნობრივი ადაპტირება და მათი მორგება კონკრეტულ სტუდენტზე.

2.2.1.6. ინდოკატორი შესაბამისობაშია.

7.პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კოლეჯის ფინანსური რესურსი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის „შედუღება“ მდგრად და უწყვეტ განხორციელებას. საგანმანათლებლო პროგრამისთვის შემუშავებულია საპროგნოზო ბიუჯეტი, რომლებიც მოიცავს შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილს. პროგრამის ბიუჯეტის შემოსავლების მთავარი წყაროა პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი ვაუჩერული დაფინანსება. საპროგნოზო ბიუჯეტი ითვალისწინებს შემდეგ კრიტერიუმებს:

- ✓ პროფესიული მასწავლებლების შრომის ანაზღაურება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ✓ ნედლეული და მასალები;
- ✓ სხვა ხარჯი (ადმინისტრაციის ხელფასი, კომუნალური გადასახადები და საკანცელარიო საქონელი);

სხვა ხარჯი 2.2.1.7 ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- ✓ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „შედუღება“;
- ✓ პროფესიული განათლების მასწავლებლის ხელშეკრულება;
- ✓ სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა;
- ✓ კოლეჯის ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- ✓ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „შედუღება” განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის ჩამონათვალი;
- ✓ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „შედუღება" განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის დანართი;
- ✓ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - "შედუღება"-ბიუჯეტი;
- ✓ მიღება-ჩაბარების აქტები: 04.07. 2026 წლის აქტი №16/1; 2026.04.03 მიღება-ჩაბარების ა ქ ტ ი N13/1; 2026.04.08 მიღება-ჩაბარების ა ქ ტ ი N13/2;
- ✓ ხელშეკრულებები სახელმწიფო შესყიდვების შესახებ: ხელშეკრულება 2026.02.12 N13 (NAT260001589);
- ✓ სასაქონლე ზედნადებები;
- ✓ საგადახდო მოთხოვნა: № 00371; № 00379; № 00376; № 00375; №00378;
- ✓ სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერის 10/03/2026 სამსახურებრივი ბარათი პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო აღჭურვილობა/ინვენტარი და მასალა/ნედლეულის შეძენის შესახებ;
- ✓ სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერის 12/12/2025 სამსახურებრივი ბარათი პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო აღჭურვილობა/ინვენტარი და მასალა ნედლეულის შესახებ;
- ✓ გასაუბრება;

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი VI. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

10.06.2026
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: